

ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15-3 საცხოვრებელი სახლის
N87 ბინაზე, მოქალაქე ლადო ლიპარტელიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა გუგუნავას ქუჩა N15-3 საცხოვრებელი სახლის N87 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლადო ლიპარტელიანის განცხადება /2012 წლის 15.10 Nლ-8700/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15-3 საცხოვრებელი სახლი N87 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15-3 საცხოვრებელი სახლის N87 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლადო ლიპარტელიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15-3 საცხოვრებელი სახლის N87 ბინაზე /საერთო ფართობი 107,96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 54,74 კვ.მ, დამხმარე ფართობი 38,70 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 14,52 კვ.მ./ მოქალაქე ლადო ლიპარტელიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე